„ვესბის თამაშის განვითარების კითხვარის“ აპრობაცია- თამაშის განვითარების კულტურული და ენობრივი თავისებურებები ქართულენოვან ბავშვებში

ნინო საკანელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 5

1. ლიტერატური მიმოხილვა 7

1.1 თამაშის განვითარების თეორიები 7

1.2 ვესბის თამაშის განვითარების კითხვარი 11

1.3 ენის განვითარება 14

1.4 ენა და სიმბოლური თამაში 16

1.5 თამაშის კულტურული თავისებურებები 20

2. საკვლევი კითხვა/ ამოცანა 22

3. კვლევის მეთოდოლოგია 24

3.1 კვლევის დიზაინი 24

3.2 კვლევის მონაწილეები 24

3.3 კვლევის პროცედურა 25

3.4 გამოყენებული ინსტრუმენტი 26

4. შედეგები 28

5. დისკუსია 35

6. კვლევის შეზღუდვები 43

7. შეჯამება 44

8. გამოყენებული ლიტერატურა 45

დანართი 1 48

დანართი 2. 54

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს თამაშის განვითარების კულტურული და ენობრივი თავისებურებები ქართულენოვან ბავშვებში „ვესბის თამაშის განვითარების კითხვარის“ მიხედვით. საწყის ეტაპზე ქართულ ენაზე ითარგმნა და დამუშავდა კითხვარი, მოხდა უკუთარგმანი, ქართული და ინგლისური ვერსიების შედარება თავსებადობის დასადგენად. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 26-მა ბავშვმა 10 განსხვავებულ ასაკობრივ კატეგორიაში, მათი ასაკი 8 თვიდან 5 წლამდე იყო (4 ბავშვი კვლევაში რამდენიმეჯერ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩაერთო). კვლევის მონაწილეებიდან 11 ბიჭი (42.3%), და 15 გოგო (57.6 %) იყო. ბავშვების ფსიქიკური განვითარების შეფასება ხდებოდა ქართულენოვანი პოპულაციის ნორმებზე მორგებული ასაკებისა და ეტაპების კითხვარის მეშვეობით (ASQ). ამ კითხვარს ავსებდა მშობელი, რის შედეგადაც შერჩეული ბავშვის მშობლებთან ხდებოდა ინტერვიუს ჩატარება და ვიდეოს გადაღების ინსტრუქციის მიწოდება, როგორც ზეპირი საუბრისას, ასევე წერილობით. ბოლოს მშობლები იღებდნენ ბავშვთან, ბუნებრივ გარემოში თამაშის დაახლოებით 10 წუთიან ვიდეოს და აგზავნიდნენ. ვიდეოების ანალიზის პროცესში მეტი სანდოობისთვის ჩართული იყო ორი სპეციალისტი დამოუკიდებლად. შედეგად გამოიკვეთა კულტურული თავისებურებები: გარემოს როლი სიმბოლური თამაშის განვითარებაზე, გამოცდილების ნაკლებობა, მრავალფეროვანი სქემების და როლების სიმწირე, მშობლების ფაქტორი როლების და სქემების განვითარებაში. ასევე გამოვლინდა კითხვართან შედარებით განსხვავებული ენობრივი თავისებურებები. „ვესბის თამაშის განვითარების კითხვარი“ ნათარგმნია ქართულ ენაზე და მისი გამოყენება შეუძლიათ ენისა და მეტყველების თერაპევტებს. მათ როგორც შეფასების პროცესში, ასევე ინტერვენციის დაგეგმვისას შეუძლიათ ამ კულტურული და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: თამაში, ენა, კულტურული მახასიათებლები, ენობრივი თავისებურებები.

Abstract

The goal of the research is to determine the cultural and linguistic characteristics of play development in Georgian children, according to "westby play developmental scale". At the first stage of the research the questionnaire was translated into Georgian, than was processed, Georgian and English versions were compared to determine compatibility. The study involved 26 children in 10 different age categories ranging in age from 8 months to 5 years (4 children were included in the study several times in different age categories) There were 11 boys (42.3%) and 15 girls (57.6%) among the study participants. The mental development of children was assessed through a questionnaire adjusted to the norms of the Georgian-speaking population (ASQ). This questionnaire was filled out by the parent, after which the parents of the selected child were interviewed and Provide video recording instruction, both spoken and written. As a result, they would take about 10 minutes of video play with the child in the natural environment and send it. Two proffessionals were selected independently for greater reliability in the video analysis process. The result revealed cultural features: the role of the environment in the development of symbolic play, lack of experience, scarcity of diverse schemes and roles, the parental factor in the development of roles and schemes. Different linguistic features compared to the questionnaire were also identified. „ Westby play developmental scale" has been translated into Georgian and can be used by speech and language pathologists. These cultural and linguistic features can be taken into account both in the assessment process and in planning the intervention.

Key words: Play, Language , cultural characteristics, Lingvistic feachers.